PKF
Accountants &
business advisers

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ზოგადი ინფორმაცია
წარდგენის საფუძვლები
საანგარიშგებო ვალუტა
ძირითადი საალრიცხვო პოლიტიკა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
გაცემული სესხები
ძირითადი საშუალებები
არამატერიალური აქტივები
გადავადებული გადასახადები
სხვა აქტივები
მიღებული სესხები
სხვა ვალდებულებები
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები
სავალუტო რისკი
საპროცენტო განაკვეთის რისკი
ლიკვიდურობის რისკი
კაპიტალის ადეკვატურობა
ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები
საწარმოს უწყვეტობის განხილვა
დაკავშირებული მხარეები
მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშების ბოლო გვერდი არის: *16*

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
ფასს-ის შესაბამისად მომზადებული

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

გიორგი გოგუაძე

აღმასრულებელი დირექტორი
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი

ლაშა ხოფერია

ფინანსური დირექტორი
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი

თარიღი: 08 მაისი, 2013

PKF Georgia Ltd
Audit, Tax & Business Advisory Services

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი"-ს მფლობელებს

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

1. ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი"-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთ სისტემაში შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისად, სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისთვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხიმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

4. აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის, რათა დაგეგმოს არსებული პრობლემებისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

5. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისთვის.

Tel +995 32 2 24 30 30 | 24 30 31 Fax +995 32 2 93 57 94 E-Mail:pkf@pkfgeorgia.com www.pkfgeorgia.com
PKF Georgia 85, Paliashvili str., 0162, Tbilisi, Georgia

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

მოსაზრება

6. ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"

თარიღი: 2013 წლის 08 მაისი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	265,267
გაცემული სესხები	6	4,204,285
მისაღები პროცენტები		60,388
ძირითადი საშუალებები	7	350,041
არამატერიალური აქტივები	8	77,643
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	33,611
სხვა აქტივები	10	24,616
სულ აქტივები		**5,015,851**
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	11	331,340
გადასახდელი პროცენტები	11	1,209
გადასახდელი გადასახადი		1,741
სხვა ვალდებულებები	12	74,689
სულ ვალდებულებები		**408,979**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		4,800,000
აკუმულირებული ზარალი		(193,128)
სულ კაპიტალი		**4,606,872**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,015,851**

გიორგი გოგუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ხოფერია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 08 მაისი, 2013

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი, საკომისიოები და საურავები		805,746
საპროცენტო ხარჯი		(10,583)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**795,163**
საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი		16,209
საკომისიო ხარჯი		(5,535)
ვალუტით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		3,288
კურსთაშორის სხვაობის შედეგი		37,399
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(1,073,263)
მოგება (ზარალი) გადასახადებამდე		**(226,739)**
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი		33,611
პერიოდის შედეგი		**(193,128)**



გიორგი გოგუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ხოფერია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 08 მაისი, 2013

	31 დეკემბერი 2012
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტები	745,358
კლიენტების მიერ დაბრუნებული სესხის ძირი	1,224,235
დანარჩენი ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოები	3,282
გაცემული სესხები	(5,377,142)
გადახდილი პროცენტი	(9,360)
თანამშრომლებისათვის გადახდილი ანაზღაურება	(550,866)
მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები	(394,486)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(4,358,979)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
საბანკო ანგარიშებიდან მიღებული პროცენტები	16,209
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხა	(431,201)
არამატერიალური აქტივებს შესაძენად გადახდილი თანხა	(88,766)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(503,758)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
კაპიტალის ზრდა	4,800,000
მიღებული სესხები	597,308
გადახდილი სესხები	(266,016)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**5,131,292**
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(3,288)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	**265,267**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის	**265,267**

გიორგი გოგუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ხოფერია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 08 მაისი, 2013

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2012 წლის 5 მარტის მდგომარეობით	**0**	**0**	**0**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,800,000	-	4,800,000
პერიოდის შედეგი	-	(193,128)	(193,128)
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,800,000**	**(193,128)**	**4,606,872**





გიორგი გოგუაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ხოფერია
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 08 მაისი, 2013

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს კონტინენტალ სითი კრედიტი დაარსდა 2012 წელს და დარეგისტრირდა 2012 წლის 6 მარტს. მისი ფაქტიური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 23-23ა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2012 წლის 3 მაისს, კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი 670512. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	წილი %
სერგი ნაკაიძე	50%
მარლი კაპიტალ ჯორჯია	30%
დავით უზარაშვილი	20%
	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა უძრავი და მოძრავი ქონების უზრუნველყოფით.

2 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

3 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

4 ძირითადი საალრიცხვო პოლიტიკა

4.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

4.2 გაცემული სესხები

კომპანიის მიერ გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო ღირებულებით, სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთებისა) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა	4 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ამორტიზირდება გაუმჯობესების სასიცოცხლო ვადასა და კონტრაქტის ვადას შორის უმცირესის განმავლობაში.

4.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 15%-იანი განაკვეთით.

4.5 მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე. გადავადებულ მოგების გადასახადში არსებული ცვლილებები აღირიცხება „მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი“-ს მუხლში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

4.6 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სესხის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი დანახარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პერიოდის საპროცენტო ხარჯის შეფარდება სასესხო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან იყოს უცვლელი სესხის სრულად დაფარვამდე. "საპროცენტო ხარჯი" ამ კონტექსტში მოიცავს სესხის დამტკიცებისა და გატანის საკომისიოებს, ასევე ვალდებულების არსებობის პერიოდში წარმოქმნილ ნებისმიერ ხარჯს.

4.7 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

4.8 საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ იქნება.

მისაღები პროცენტები, გადახდის ვადის 30 დღეზე მეტი დროით ვადაგადაცილების შემთხვევაში ბალანსიდან ჩამოიწერება გარესაბალანსო ანგარიშზე და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წყდება საპროცენტო შემოსავლის აღიარება. თუ მომავალში მოხდება ჩამოწერილი საპროცენტო შემოსავლის დაფარვა, შესაბამისი შემოსავალი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მისი დაფარვა.

4.9 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2012 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა		კურსი
აშშ დოლარი	(USD)	1.6567
ევრო	(EUR)	2.1825
რუსული რუბლი	(RUB)	0.0545
დიდი ბრიტანეთის ფუნტი	(GBP)	2.6653

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2012
ნაღდი ფული სალაროში	5.1	46,245
ფული ბანკში	5.1	219,022
სულ		**265,267**

5.1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით	31 დეკემბერი, 2012
ქართული ლარი (GEL)	22,079
ა.შ.შ. დოლარი (USD)	237,589
ევრო (EUR)	3,539
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	1,732
რუსული რუბლი (RUB)	328
სულ	**265,267**

6 გაცემული სესხები	31 დეკემბერი, 2012
1 წელზე ნაკლები	1,402,636
1-დან 3 წლამდე	1,104,674
3-დან 5 წლამდე	1,653,901
5 წელზე ზემოთ	43,074
სულ	**4,204,285**

თითქმის ყველა გაცემული სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. გაცემული სესხების მხოლოდ 2% არის უზრუნველყოფილი ავტომობილებით და 1% ოქროთი. კომპანიას არ გააჩნია უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხები. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიური 25%-დან 86%-მდე, რაც დამოკიდებულია გაცემული სესხის თანხაზე და უზრუნველყოფის ტიპზე. ყველა სესხი გაცემულია აშშ დოლარში.

ანგარიშგებაში ნაჩვენები მისაღები პროცენტების გარდა, გარესაბალანსო ანგარიშებზე აღრიცხულია 19,769 ლარის ოდენობის მისაღები თანხები, რომელიც წარმოადგენს 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საპროცენტო მოთხოვნებს.

მენეჯმენტი დარწმუნებულია გარესაბალანსო ანგარიშებზე აღრიცხული თანხის მიღებაში, თუმცა არ აღიარებს ფინანსურ ანგარიშგებებში, ვინაიდან ასეთ მიდგომას მოითხოვს საქართველოს ეროვნული ბანკი. მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ აღნიშნული წარმოადგენს ფასს-დან გადახვევას, თუმცა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო რელევანტურია.

7 ძირითადი საშუალებები

2012 წელი	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
დამატებები	43,897	27,771	48,379	50,152	215,654	**385,853**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**43,897**	**27,771**	**48,379**	**50,152**	**215,654**	**385,853**
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
პერიოდის ცვეთა	(6,655)	(2,814)	(3,846)	(4,023)	(18,474)	**(35,812)**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**(6,655)**	**(2,814)**	**(3,846)**	**(4,023)**	**(18,474)**	**(35,812)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**37,242**	**24,957**	**44,533**	**46,129**	**197,180**	**350,041**

8 არამატერიალური აქტივები

2012 წელი	კომპიუტერული პროგრამა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**
დამატებები	88,766	**88,766**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**88,766**	**88,766**
აკუმულირებული ამორტიზაცია		
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**
პერიოდის ამორტიზაცია	(11,123)	**(11,123)**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**(11,123)**	**(11,123)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2012 წლის 5 მარტისთვის	**0**	**0**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**77,643**	**77,643**

არამატერიალური აქტივები შედგება "Alta Bank 2000" საბანკო ოპერაციების აღრიცხვის სისტემისა და "ALTA LMS" სესხების აღრიცხვის სისტემისაგან.

9 გადავადებული გადასახადები

	31 დეკემბერი, 2012
ძირითადი საშუალებები	(25,010)
არამატერიალური აქტივები	(329)
სხვა აქტივები	2,965
სხვა ვალდებულებები (გადასახდელი პროცენტები)	181
მომავალი საგადასახადო მოგებიდან გამოქვითვადი საგადასახადო ზარალი	55,804
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	**33,611**

ქვემოთ განმარტებულია ბალანსის ის მუხლები, რომლებიც წარმოშობენ გადავადებულ გადასახადებს:

ძირითადი საშუალებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსი საშუალებას აძლევს კომპანიებს ძირითადი საშუალებების (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის გარდა) ღირებულება მთლიანად აღიარონ იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მათი შეძენა. საგადასახადო მიზნებისათვის კომპანია იყენებს აღნიშნულ მეთოდს. ასევე, საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ცვეთის მეთოდი და განაკვეთები განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც დამატებით წარმოშობს სხვაობას ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის.

9 გადავადებული გადასახადები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები - საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ამორტიზაციის მეთოდი განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც წარმოშობს სხვაობას არამატერიალური აქტივების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის.

სხვა აქტივები - 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საპროცენტო მოთხოვნები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებებში, მაშინ როდესაც საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებულია ერთობლივ შემოსავალში.

სხვა ვალდებულებები (გადასახდელი პროცენტები) - რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადასახდელი პროცენტი საგადასახადო მიზნებისათვის გაითვალისწინება საკასო მეთოდით, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია დარიცხვის მეთოდით.

აკუმულირებული საგადასახადო ზარალი - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, დაგროვილი საგადასახადო ზარალი შესაძლებელია გამოაკლდეს დასაბეგრ მოგებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

10 სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2012
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	22,363
ფულადი გზავნილების განმახორციელებელი კომპანიებისგან მისაღები თანხები	2,154
მარაგები	99
სულ	**24,616**

11 მიღებული სესხები

კომპანიას სესხი აღებული აქვს ორი ფიზიკური პირისგან. სესხები აღებულია აშშ დოლარში, ფიქსირებული 10% - 14% წლიური განაკვეთით და მათი დაფარვის ვადა არ აღემატება ერთი წელს. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

12 სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2012
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	57,754
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	16,935
სულ	**74,689**

13 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი, 2012
თანამშრომელთა ანაზღაურება	550,866
რეკლამის ხარჯი	100,186
ოჯარის ხარჯი	144,984
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	89,524
ოფისის აღჭურვილობის ხარჯი	70,369
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	46,935
იურიდიული ხარჯები	45,252
საკანცელარიო ხარჯები	6,284
სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯი	5,407
დაცვის ხარჯი	4,547
საგადასახადო ხარჯები	1,782
სხვა ხარჯები	7,127
სულ	**1,073,263**

14 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკურსო სხვაობის რისკს. ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

	GEL	USD	EUR	GBP	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22,079	237,589	3,539	1,732	328	**265,267**
გაცემული სესხები	-	4,204,285	-	-	-	**4,204,285**
მისაღები პროცენტები	-	60,388	-	-	-	**60,388**
სხვა ფინანსური აქტივები	-	2,154	-	-	-	**2,154**
სულ:	**22,079**	**4,504,416**	**3,539**	**1,732**	**328**	**4,532,094**
მიღებული სესხები	-	331,340	-	-	-	**331,340**
გადასახდელი პროცენტები	-	1,209	-	-	-	**1,209**
საგადასახადო ვალდებულებები	1,741	-	-	-	-	**1,741**
სხვა ვალდებულებები	57,754	16,935	-	-	-	**74,689**
სულ:	**59,495**	**349,484**	**0**	**0**	**0**	**408,979**
სავალუტო პოზიცია	**(37,416)**	**4,154,932**	**3,539**	**1,732**	**328**	**4,123,115**

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კომპანია ძირითადად იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშობა აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის აღნიშნული ვალუტების გაცვლითი კურსის მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებას.

15 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ყველა გაცემული სესხი არის ფიქსირებული პროცენტით. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები, ხოლო რაც გააჩნია ყველა ფიქსირებული პროცენტით არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი.

16 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, როგორც აქტივის მოკლე დროში ფულად ქცევის შეუძლებლობა, რასაც თან ახლავს მატერიალური დანაკარგები. ეს რისკი პირდაპირ კავშირშია მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების განაღდების ვადებთან.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს მტკიცებულება იმისა რომ, რომელიმე აქტივი გაუფასურებულია და დაფარვა მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება სავარაუდო დაფარვის თარიღი.

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	265,267	-	-	-	**265,267**
გაცემული სესხები	1,402,636	1,104,674	1,653,901	43,074	**4,204,285**
მისაღები პროცენტები	60,388	-	-	-	**60,388**
სხვა ფინანსური აქტივები	2,154	-	-	-	**2,154**
სულ:	**1,730,445**	**1,104,674**	**1,653,901**	**43,074**	**4,532,094**
მიღებული სესხები	331,340	-	-	-	**331,340**
გადასახდელი პროცენტები	1,209	-	-	-	**1,209**
საგადასახადო ვალდებულებები	1,741	-	-	-	**1,741**
სხვა ვალდებულებები	74,689	-	-	-	**74,689**
სულ:	**408,979**	**0**	**0**	**0**	**408,979**
ლიკვიდურობის სხვაობა	**1,321,466**	**1,104,674**	**1,653,901**	**43,074**	**4,123,115**

17 კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს 250,000 ლარს. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5,000,000 ლარს (4,800,000 შევსებული).

18 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

19 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

20 დაკავშირებული მხარეები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კომპანიას ტრანზაქციები აქვს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ურთიერთდაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარე	ხელფასი	ბონუსები	დაზღვევა	სულ
მენეჯმენტი	275,000	4,375	3,570	**282,945**
სულ	**275,000**	**4,375**	**3,570**	**282,945**

ზემოთ ასახული ანაზღაურება გაცემულია სამ დირექტორზე და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე.

21 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

21.1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას. ამავე დროს, აღნიშნული კანონები განიცდის ხშირ ცვლილებას. კომპანიის მენეჯმენტის მიერ აღქმული კანონმდებლობის მოთხოვნების ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოებმა უფრო ხისტად დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნის საკუთარი ინტერპრეტაცია. შედეგად, შესაძლებელია კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

21.2 სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.